1989 წლის 20 ნოემბერის ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის რატიფიცირებით საქართველოს სახელმწიფოს დაეკისრა ვალდებულება უზრუნველყოს ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის. რეალურად, აღნიშნული კონვენციის მიღებით, გაერთიანებული ერების გენერალურმა ანსამბლემ წერტილი დაუსვა თითქმის ათწლიან დისკუსიას კონვენციის მიღების შესაძლო შედეგებთან და მის დადებით მხარეებთან დაკავშირებით.² აღინიშნა, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები გაითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას (კონვენციის მე-3 მუხლის მეორე ნაწილი).

აღსანიშნავია, რომ შინაარსობრივი თვალსაზრისით, კონვენცია შეიცავს ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ უზოგადეს დებულებებს, აყალიბებს მიზნებს, თუმცა არ შეიცავს რეგულირებას მასში გათვალისწინებული დებულებების აღსრულების მექანიზმების შესახებ.³ შესაბამისად, ლოგიკურია, რომ საქა-

რთველოს სახელმწიფოს მასშტაბით მოქმედი ბავშვთა დაცვის საკანონმდებლო ბაზა არ ითვლებოდა სრულყოფილად 2019 წლამდე, როდესაც მიიღეს ბავშვთა დაცვის კოდექსი, რითაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ბავშვის უფლებათა დაცვის ერთიანი, სისტემური ხედვა. ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებით საქართველომ გამოავლინა მცდელობა – დაახლოვებოდა შესაბამის სფეროში მოქმედ საერთაშორისო მიდგომებს; მოეხდინა შესაბამის სტანდარტებთან კანონმდებლობის ჰარმონიზება. განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებებისა, მათ შორის, სამოქალაქო კოდექსში, რათა არ ან ვერ იქნეს განხორციელებული იმგვარი ქმედებები, რომლებიც არასრულწლოვნის კანონიერ ინტერესებს არსებით საფრთხეს შეუქმნიდა და სრულწლოვანების ასაკს მიღწეული, ის მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას – აღედგინა დარღვეული ხელყოფილი უფლებები.

მიმდინარე დროისათვის არსებული რეგულირებით, საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით, სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი პირის გვერდით მოიაზრება არასრულწლოვანიც, რომელიც გარკვეული თავისებურების გათვალისწინებით, ასევე, შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე. აგრეთვე – სამოქალაქო უფლებისა და მოვალეობის მატარებელი. თუმცა სამოქალაქო კანონმდებლობა მასთან მიმართებით სპეციფიურ რეგულირებას გთავაზობს, რაც ზემოაღნიშნული და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნებით მართლდება. აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოში სახელმწიფოს მასშტაბით მოქმედი მართლმსაჯულების განმახორციელებელი სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება, არასრულწლოვანთა ქონებრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. მიუხედავად კანონმდებლობის სრულყოფის მცდელობისა, სამოქალაქო კანონმდებლობა შეიცავს ბუნდოვანებას, რაც როგორც თეორიული, აგრეთვე, პრაქტიკული მიმართულებით ზრდის კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტირების რისკებს. საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, ნაშრომის ფარგლებში განიხილება შესაბამისი

1 ხუბუა გ., (2015). სამართლის თეორია, თბილისი, 149.

2 Leblanc J., (1991). The Convention on the Rights of the Child – Current Legal Developments, Leiden Journal of International Law, 281.

3 Engle E., (2011). The Convention on the Rights of the

Child, law journal QLR 29 QLR, 793.

მიმართულებით მოქმედ საკანონმდებლო მომწესრიგებელ ნორმათა სტრუქტურა. ნორმათა მართებული აღქმის და სასამართლო პრაქტიკაში სწორად გამოყენების საკითხები. განიმარტება, თუ როგორ უნდა იყოს აღქმული არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია როგორც ზოგადმეცნიერული – ისტორიული, აგრეთვე, სპეციალური – ნორმატიული და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები.

1. არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა, როგორც ნებართვასაპატივმოქმედებელი ნორმათა ერთიანი სისტემის ნაწილი

სამოქალაქოსამართლებრივი თვალსაზრისით, თანამედროვე სახელწიფოთა სამართლის სისტემებში არასრულწლოვნის ქონებრივი უფლებების დაცვის საკითხი, თეორიული დეკლარირების დონეზე მაინც, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.⁴ დღეისათვის აღიარებულია, რომ ბავშვს გააჩნია მშობლისაგან განცალკევებული და დამოუკიდებელი საკუთრება.⁵ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედების აუცილებლობა კი არის პრინციპი, რომელსაც ეფუძნება საოჯახო ურთიერთობები. თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს პრინციპი აბსტრაქტული და თეორიულია.⁶ აღნიშნული რეალურად აკავშირებს ფსიქოანალიტიკასა და საჯარო პოლიტიკას.⁷

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

ამოქმედების დროიდან მიუთითებდა არასრულწლოვანის ინტერესის გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ გარიგების დადებისას და გარიგების ნამდვილობას უკავშირებდა არასრულწლოვანის მიერ სარგებლის მიღებას. აღნიშნული საკითხი ფასდებოდა არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლების სუბიექტური გადაწყვეტილებით, რაც შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება. შესაბამისად, მართოდ შესაბამისი მუხლის მხედველობაში მიღებით, შეუძლებელი იყო საკითხის ობიექტური და სრული შეფასება. ბუნდოვანი, სუბიექტური და ზოგადი შეიძლება ყოფილიყო გარემოება, თუ რა შეიძლება ჩათვლილიყო სასარგებლოდ არასრულწლოვანისათვის. ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღების შედეგად აღნიშნული საკითხი მოწესრიგდა და საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა არასრულწლოვნის ქონების განკარგვისას მის საუკეთესო ინტერესებთან გარიგების შინაარსის დადგენის აუცილებლობა.

2020 წლიდან კი ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მეორე ნაწილშიც, რომლის შესაბამისად, „ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებად მიიჩნევა ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე“. ამდენად, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლო კვლევის საგანს წარმოადგენს იმ გარემოების დადგენა, რამდენად გამომდინარეობს უძრავი ნივთის გასხვისება არასრულწლოვანი ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან.

ცვლილება განხორციელდა მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით გარიგების დადების შემთხვევებთან მიმართებითაც და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლში მიეთითა, რომ ბავშვის საკუთრებაში არსებული 1 000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. დასმულ საკითხთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ ნივთების ლეგალურ დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, განსხვავებით, მაგალითად, გერმა-

4 Omerspahic Z., (2018). Child Property Rights – A Child as a Shareholder, South East European Law Journal (SEE Law Journal), 48.
5 Albayrak S., (2018). Freely Disposable Property of Child, Selcuk Universitesi Hukuk Fakultesi Dergisi, 444.
6 Ionescu R., (2021). The Best Interests of the Child, Annals of “Dunarea de Jos” University of Galati: Legal Scien, 79.
7 Freeman M., (1997). The Best Interests of the Child? Is the Best Interests of the Child in the Best Interests of Children?, International Journal of Law, Policy and the Family, 360.

ნიის სამოქალაქო კოდექსისაგან, რომლის თანახმად, „ნივთებს ამ კანონის თანახმად წარმოადგენენ მხოლოდ სხეულებრივი საგნები“. იურიდიულ ლიტერატურაში არსებული შეხედულების თანახმად, ნივთები პიროვნულობას მოკლებული, ბრუნვაუნარიანი, პირთა ბატონობას დაქვემდებარებული, ნატურით გამიჯნული და სხეულებრივად ერთიანი საგნებია.⁸ აღნიშნულის გათვალისწინებით, თუკი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მითითებულ ნორმას სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით განვმარტავთ, მისი მოქმედება არ უნდა გავრცელდეს 1000 ლარზე მეტი ღირებულების ისეთ აქტივზე, რომელიც მოძრავი ნივთის დეფინიციას არ აკმაყოფილებს.

ხაზგასასმელია, რომ პრაქტიკაში მოძრავი ნივთის განკარგვაზე თანხმობის გაცემის საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს საბანკო დაწესებულებაში არსებული საბავშვო ანაბრის გაუქმების და ანაბარზე განთავსებული თანხის განკარგვის შემთხვევა, რომელიც არაერთხელ იქნა განხილული საერთო სასამართლოების მიერ.⁹ მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა დასახელებული საკითხისათვის ერთმნიშვნელოვნად არ მოითხოვს სასამართლო თანხმობის არსებობას და ამასთან, ანაბარი/ანგარიში, ცხადია, მოძრავ ნივთთა კატეგორიას არ განეკუთვნება, საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, არასრულწლოვნის ანგარიშზე არსებული თანხის განკარგვისათვის საბანკო დაწესებულების მიერ მოითხოვება შესაბამისი შინაარსის სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა. შესაბამისად ნათელია, რომ ნორმის არსებული რედაქცია არ ასახავს პრაქტიკაში მისი გამოყენების შინაარსს და, რეალურად, მისი განმარტება მეტად ფართოდ ხდება.

შესაბამისად, განსახილველი მუხლების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ კანონმდებელმა ბავშვის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ დაცვის უზრუნველსაყოფად სასამართლო კონტროლი გაავრცელა მოძრავი და უძრავი ნივთების განკარგვის შემთხვევებზე და რეგულირების მიღმა დატოვა არამა-

ტერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვის შემთხვევები. თავის მხრივ, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს განეკუთვნება მოთხოვნები და უფლებები (152-ე მუხლი), ე.წ. „უსხეულო ნივთები“.¹⁰ უფლებებისა და მოთხოვნების არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ, ე.ი. ობიექტებად აღიარების წინაპირობებია: ა. ბრუნვაუნარიანობა – სხვა პირთათვის გადაცემის შესაძლებლობა; ბ. მატერიალური სარგებლიანობა; გ. სხვა პირისაგან რაიმეს მოთხოვნის უფლება.¹¹ აღნიშნული განსახილველ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მშობლის მიერ არასრულწლოვნის მოთხოვნის ან უფლების განკარგვა შესაძლებელია, აგრეთვე, ხელყოფდეს მის კანონიერ ქონებრივ ინტერესებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ აუცილებლად მიიჩნევა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, სასურველია ცვლილება იქნეს შეტანილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლში და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ, სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებული გარიგებების ჩამონათვალს დაემატოს საბანკო ანგარიშზე/ანაბარზე არსებული თანხის განკარგვა, თუ ანაბარზე/ანგარიშზე არსებული თანხის საერთო მოცულობა აღემატება 1000 ლარს; აგრეთვე – სხვა სახის მოთხოვნის ან უფლების განკარგვა, თუ მოთხოვნის ან უფლების მოცულობა აღემატება 1000 ლარს. აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რათა აღმოფხვრილი იქნეს არსებული ბუნდოვანება მუხლის განმარტებასთან მიმართებით და შესაძლო არასწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.

2. საკითხის პროცესუალურ-სამართლებრივი მხარე

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დგინდება, რომ არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის საკითხი მოთხოვნათა მატერიალურსამართლებრივ

8 ზოიძე ბ., 2003. ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 26-28.

9 ჯუღელი თ., მახათაძე ნ., 2023. ბავშვის ქონების განკარგვის საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგების არსებული გამოწვევები, თბილისი, 17.

10 ზოიძე ბ., (2003). ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 46.

11 ჭანტურია ლ., (2011). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 54.

საფუძვლად არის ჩამოყალიბებული, რომელიც შედეგობრივი თვალსაზრისით, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, მოიაზრებს მსგავს გარიგებაზე (განკარგვაზე) სასამართლოს ნებართვის არსებობის აუცილებლობას. ამიტომ, მსგავსი ხასიათის მატერიალურსამართლებრივი საკითხის გადასაწყვეტად სპეციალური პროცესუალური საშუალება შესაძლებელია ყოფილიყო გთვალისწინებული საპროცესო კანონმდებლობით. თუმცა, არასრულწლოვნის ქონების განკარგვის საკითხთან მიმართებით სასამართლოსათვის მიმართვისას, ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა არ ყოფილა შემუშავებული, რაც ერთგვარ საკანონმდებლო ხარვეზად უნდა შეფასდეს. ამიტომ, პრაქტიკა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: როგორც წესი, ამ მიმართულებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმები და საკითხი განიხილება უდავო წარმოების გზით.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რამდენად მართებულია შესაბამისი შინაარსის საკითხების მოსამართლისათვის განსახილველად გადაცემა იმ ფონზე, რომ არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებული საკითხების დროული და ეფექტიანი გადაწყვეტა კრიტიკული მნიშვნელობის მქონეა; ამასთან ცნობილია ისიც, რომ საქართველოს მართლმსაჯულების განმახორციელებელი სისტემა გადატვირთულია და როგორც წესი, საპროცესო ვადები მნიშვნელოვნად ირღვევა. ამიტომ, მნიშვნელოვანია შეფასდეს საკითხი – ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი შესაბამისი უფლებამოსილების სხვა თანამდებობის პირისათვის დელეგირება, რაც შედეგობრივი თვალსაზრისით სრულყოფდა მართლმსაჯულების განმახორციელებელ ერთიან ჯაჭვს და ამასთან, გარკვეულწილად, განტვირთავდა სასამართლოებს ამ კონკრეტული საქმისწარმოებისაგან. აღნიშნული შესაძლებელია შეფასებულიყო, როგორც ადეკვატური სამართლებრივი ინსტრუმენტებით სასამართლოს საქმის ნაკადის შემცირებაზე შედეგის მიღების მცდელობა, რაც, შედეგობრივი თვალსაზრისით, მოემსახურებოდა სახელმწიფოს მასშტაბით მოქმედი, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთიანი ჯაჭვის გაუმჯობესებას.

მაგალითისათვის, ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია გერმანული პრაქტიკა. საყურადღებოა, რომ გერმანიაში განცხადებას არასრულწლოვნის ქონების განკარგვის შესახებ ნებართვის გაცემის თაობაზე განიხილავს არა უშუალოდ მოსამართლე, არამედ ე.წ. Rechtspfleger.¹² ეს გახლავთ სასამართლოს თანამშრომელი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, დადგენილი წესით არის აყვანილი მართლმსაჯულების სისტემაში თანამშრომლად, არ წარმოადგენს მოსამართლეს, მაგრამ, კანონმდებლობიდან გამომდინარე, აქვს დელეგირებული მოსამართლის კომპეტენცია.¹³ შესაბამისი სამართლებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბება გერმანიაში განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მოსამართლეები იყვნენ გადატვირთულები. სხვა კომპლექსური შინაარსის საქმეებთან ერთად, მათ წარმოებაში იყო მრავალი, შედარებით ნაკლებად კომპლექსური ხასიათის საქმე. ამიტომ, 1909 წლიდან მოსამართლის უფლებამოსილებათა ნაწილი გადაეცა Rechtspfleger-ს. აღნიშნული დარეგულირდა ჯერ ადმინისტრაციული ბრძანებების, ხოლო შემდეგომ სპეციალური კანონის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნა 1957 წელს. დღესდღეობით, აღნიშნული პროფესიის წარმომადგენლები საქმიანობას ასრულებენ დამოუკიდებლად და კანონის საფუძველზე.¹⁴ თუმცა ცხადია, ისინი არ სარგებლობენ მოსამართლისათვის დადგენილი დამოუკიდებლობის სტანდარტებით.¹⁵ რეალურად, სასამართლოს მიერ განსახილველ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, ისინი ცვლიან მოსამართლეს. მაგალითად, საოჯახო სამართლის მიმართულებით ისინი იღებენ შემდეგი შინაარსის გადაწყვეტილებებს:

12 Wirtschaftswörterbuch.de [25.12.2020]; სხვათა ნაცვლად კომენტარიდან: Wolfsteiner in MünchKomm. zur ZPO, 6. Aufl., 2020, §724 Rn. 21. მითითებულია: მშობლის მიერ არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის საკითხისათვის, შედარებითი სამართლის ჟურნალი, 25.

13 ბურდული ი., (2020). მშობლის მიერ არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის საკითხისათვის, შედარებითი სამართლის ჟურნალი, 21.

14 Thomas K., (2014). German Rechtspfleger, Germany, 2.

15 Schack H., (1993). Private Lawyers in Contemporary Society: Germany International Association of Legal Sciences Symposium: National Reports, Case Western Reserve Journal of International Law, 188.

ნიშნავენ კანონიერ წარმომადგენელს; ახდენენ მამობის დადგენას; განიხილავენ შვილად აყვანასთან დაკავშირებულ საკითხებს;¹⁶ განიხილავენ საქმეებს, რომელიც უკავშირდება ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციას; უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ და რიგ კომერციულ საქმეებს;¹⁷ სააღსრულებო პროცედურებს.¹⁸

აღნიშნული თანამდებობის პირები არ წარმოადგენენ მოსამართლის თანაშემწეებს, არამედ მუშაობენ მათ პარალელურად და არიან პასუხისმგებელი დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებაზე მათ კომპეტენციაში არსებულ საქმეებთან მიმართებით.¹⁹ აღნიშნულის ანალოგი ინსტიტუტი მოქმედებს ავსტრიაშიც, სადაც შესაბამისი თანამდებობის პირთა უფლებამოსილებები უფრო ფართოა,²⁰ აგრეთვე: ესტონეთში, პოლონეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვენიაში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში.²¹ ბელგიაში, ფინეთში, საფრანგეთში, უნგრეთში, იტალიაში, ლუქსემბურგში, ესპანეთსა და შვედეთში.²²

იმ სახელმწიფოთა მასშტაბით, სადაც ეს თანამდებობა იქნა შემოღებული, აღიარებულია მისი მნიშვნელოვანი წვლილი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, თუმცა თითოეულ სახელმწიფოში განსხვავდება მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლები. როგორც წესი, ერთიანი მიდგომა შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

1. აღნიშნულ თანამდებობის პირს განსახილველად გადაეცემა სასამართლოს დაქვემდებარებული კონკრეტული შინაარსის საქმეები;
2. ნებისმიერი პირი, რომელსაც სურს ამ თანა-

მდებობის დაკავება, უნდა აკმაყოფილებდეს შიდა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს, რაც უკავშირდება განათლებასა და კვალიფიკაციას. ხაზგასასმელია ისიც, რომ 1995 წელს, ესპანეთში მიღებული იქნა მოდელური წესდება შესაბამისი თანამდებობის პირთა საქმიანობის რეგულირებისათვის.²³

ანალოგიური ან მსგავსი სტატუსის შემოღება საქართველოს სასამართლო სისტემაში ერთმნიშვნელოვნად შეფასდებოდა როგორც საერთაშორისო განვითარების ტენდენციებთან ჰარმონიზირებული რეგულირება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა როგორც არასრულწლოვანთა საქმის განხილვის დაჩქარებას სასამართლო საქმისწარმოების პროცესში, აგრეთვე ხელს შეუწყობდა სასამართლო სისტემაში არსებული გამოწვევების დაძლევის შესაძლებლობებს და წაადგებოდა სასამართლო სისტემის სრულყოფის, ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ფორმირების მიზანს.

საქმეთა დროული გადაწყვეტა ხომ მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სამართალი, რომელიც ვერ მიიღწევა დროის გონივრულ მონაკვეთში, არის მიუღწეველი სამართალი.²⁴ ამასთან, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის საკითხი, რაც აქტუალური გახდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, დღემდე წარმოადგენს გლობალური მსჯელობის საგანს²⁵ და მათ შორის, აქტუალურია საქართველოშიც. ამიტომ, სასარგებლო სიახლე იქნებოდა შესაბამისი რეგულირების შეთავაზება. კერძო სამართალი ხომ უნდა ასახავდეს და ემსახურებოდეს საჯარო პოლიტიკის განხორციელებას.²⁶

16 Kappl T., (2016). Strong Justice for a Strong Europe: A European Rechtspfleger, *International Journal for Court Administration*, 1.

17 Fenge H., Cramer-Frank B., Westphal Th., (1995). Remedies concerning Enforcement of Foreign Judgements, *Legal Education and Training in Europe*, 108.

18 Oberhammer Paul., (2006). Civil Enforcement in Austria, *European Business Law Review*, 595.

19 Holvast N., (2014). Considering the Consequences of Increased Reliance on Judicial Assistants: A Study on Dutch Courts, *International Journal of the Legal Profession*, 39-60.

20 Van der Weide J., (2020). Remedies concerning Enforcement of Foreign Judgements, *Common Market Law Review*, 610-611.

21 Thomas K., (2014). German Rechtspfleger, Germany, 16.

22 Arkuszewska A., (2012). Jurisdictional Status of the Polish Rechtspfleger, *Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia*, 7.

23 Kapp Th., (2009). A European Rechtspfleger for the European Union, *International Journal for Court Administration*, 61.

24 Cappelletti M., Garth, B., (1978). Access to Justice: The Newest Wave in the Worldwide Movement to Make Rights Effective, *Buffalo Law Review*, 190.

25 Buxton T., (2002). Foreign Solutions to the U.S. Pro Se Phenomenon, *Case Western Reserve Journal of International Law*, 103.

26 Singer J., (2023). The Right to Have Property A Presumption of "Possible", *Texas A&M Law Review*, 716.

ნაშრომის ფარგლებში დადასტურდა, რომ მნიშვნელოვნად მიიჩნევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმათა სრულყოფა, რომლებიც არეგულირებს არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა-სთან დაკავშირებულ საკითხს. საკითხი საყურადღებო როგორც მატერიალურსამართლებრივი, აგრეთვე – საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით. ესე იგი, საქართველოში არასრულწლოვანი საკანონმდებლო ბაზის არსებობის პირობებში, საკითხი გადასინჯვასა და ანალიზს ექვემდებარება. ნაშრომის ფარგლებში ცალსახად განისაზღვრა, რომ სამართლის მზარდი უნიფიკაციის პროცესის კვალდაკვალ, რელევანტურია შესაბამისი მიმართულებით ნაციონალური კანონმდებლობის სრულყოფა. ამასთან, კანონშემოქმედებითი პროცესი არ უნდა ხორციელდებოდეს აღნიშნულ სფეროში რომელიმე უნივერსალური აქტის ავტომატური რეცეფციით. აუცილებელია საქართველოში არსებული რეგულირებისა და სხვა სახელმწიფოების წარმატებული პრაქტიკის ანალიზი, მიდგომათა ურთიერთშეჯერების შედეგად კი საკითხის – ადეკვატური გადაწყვეტის შეთავაზება. საჭიროდ მიიჩნევა არა ეპიზოდური, არამედ საფუძვლიანი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული მოიაზრებს ქართული სამართლის ინსტიტუტის დასაბუთებულ დაახლოებას და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფას წამყვან, დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ სამართლებრივი სისტემების სტანდარტებთან.

კერძოდ, სასურველია ცვლილება იქნეს

შეტანილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლში და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული, სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებული გარიგებების ჩამონათვალს დაემატოს საბანკო ანგარიშზე/ანაბარზე არსებული თანხის განკარგვა, თუ ანაბარზე/ანგარიშზე არსებული თანხის საერთო მოცულობა აღემატება 1000 ლარს; აგრეთვე – სხვა სახის მოთხოვნის ან უფლების განკარგვა, თუ მოთხოვნის ან უფლების მოცულობა აღემატება 1000 ლარს. აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რათა აღმოფხვრილი იქნეს არსებული ბუნდოვანება მუხლის განმარტებათან მიმართებით და შესაძლო არასწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.

ამასთან, სასურველია არასრულწლოვნის ქონების განკარგვასთან დაკავშირებული კატეგორიის საქმეები დაექვემდებაროს არა მოსამართლეთა მიერ განხილვას, არამედ ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია რიგ ევროპულ სახელმწიფოთა პრაქტიკა, სადაც განცხადებას არასრულწლოვნის ქონების განკარგვის შესახებ ნებართვის გაცემის თაობაზე განიხილავს ისეთი თანამდებობის პირი. როგორცაა ე.წ. Rechtspfleger.

აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შედეგად მიიღწევა ქართული სამართლის ინსტიტუტის დაახლოება და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა წამყვან, დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ სამართლებრივი სისტემების სტანდარტებთან. აღნიშნული მნიშვნელოვნად განაპირობებს როგორც საკანონმდებლო ხარვეზების, აგრეთვე პრაქტიკაში არსებული ბუნდოვანების აღმოფხვრას.

ბიბლიოგრაფია:

ნორმატიული მასალა"

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. <https://www.matsne.gov.ge> (ქართულად)
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი <https://www.matsne.gov.ge> (ქართულად)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურდული ი., (2020). მშობლის მიერ არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის საკითხისათვის, შედარებითი სამართლის ჟურნალი.
2. ზოიძე ბ., (2003). ქართული სანივთო სამართალი, თბილისი.

3. ქანტურია ლ., (2011). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი.
4. ხუბუა გ., (2015). სამართლის თეორია, თბილისი.
5. ჯულელი თ., მახათაძე ნ., 2023. ბავშვის ქონების განკარგვის საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგების არსებული გამოწვევები, თბილისი.
6. Albayrak S., (2018). Freely Disposable Property of Child, Selcuk Universitesi Hukuk Fakultesi Dergisi.
7. Arkuszewska A., (2012). Jurisdictional Status of the Polish Rechtspfleger, Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia.
8. Buxton T., (2002). Foreign Solutions to the U.S. Pro Se Phenomenon, Case Western Reserve Journal of International Law.
9. Cappelletti M., Garth, B., (1978). Access to Justice: The Newest Wave in the Worldwide Movement to Make Rights Effective, Buffalo Law Review.
10. Engle E., (2011). The Convention on the Rights of the Child, law journal QLR 29 QLR.
11. Fenge H., Cramer-Frank B., Westphal Th., (1995). Remedies concerning Enforcement of Foreign Judgements, Legal Education and Training in Europe.
12. Freeman M., (1997). The Best Interests of the Child? Is the Best Interests of the Child in the Best Interests of Children?, International Journal of Law, Policy and the Family.
13. Holvast N., (2014). Considering the Consequences of Increased Reliance on Judicial Assistants: A Study on Dutch Courts, International Journal of the Legal Profession.
14. Kapp Th., (2009). A European Rechtspfleger for the European Union, International Journal for Court Administration.
15. Kappl T., (2016). Strong Justice for a Strong Europe: A European Rechtspfleger, International Journal for Court Administration.
16. Leblanc J., (1991). The Convention on the Rights of the Child – Current Legal Developments, Leiden Journal of International Law.
17. Ionescu R., (2021). The Best Interests of the Child, Annals of “Dunarea de Jos” University of Galati: Legal Scien.
18. Oberhammer, Paul., (2006). Civil Enforcement in Austria, European Business Law Review.
19. Omerspahic Z., (2018). Child Property Rights – A Child as a Shareholder, South East European Law Journal (SEE Law Journal).
20. Schack H., (1993). Private Lawyers in Contemporary Society: Germany International Association of Legal Sciences Symposium: National Reports, Case Western Reserve Journal of International Law.
21. Singer J., (2023). The Right to Have Property A Presumption of “Possible”, Texas A&M Law Review.
22. Thomas K., (2014). German Rechtspfleger, Germany.
23. van der Weide J., (2020). Remedies concerning Enforcement of Foreign Judgements, Common Market Law Review.